ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია

OPCW
Johan de Wittlaan 32
2317 JR, ჰაგა, ნიდერლანდები
ტელ.: +31(0) 70 416 33 00
ფაქსი: +31(0) 70 306 35 35
www.opcw.org

NV/LAO/196006/15
(LAO/15-0046)

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკური სამდივნო გამოხატავს თავის პატივისცემას OPCW-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიმართ და აქვს პატივი მიმართოს „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების თაობაზე.

ტექნიკურ სამდივნოს აქვს პატივი აცნობოს საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას, რომ OPCW-ს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ზემოთ ხსენებული შეთანხმება მის 77-ე სხდომაზე, EC-77/DEC.6 გადაწყვეტილებით, 2014 წლის 9 ოქტომბერს. შეთანხმების დადების შემდგომი ეტაპი იქნება საქართველოსა და OPCW-ს მიერ მისი ხელმოწერა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ტექნიკური სამდივნოს აქვს პატივი სთხოვოს საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას, რომ მიაწოდოს ტექნიკურ სამდივნოს (სამართლებრივ საკითხთა მრჩეველის ოფისი) იმ ოფიციალური პირის უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს სახელით ხელს მოაწერს შეთანხმებას, შეთნხმების ტექსტში, აღნიშნული პირის გვარის დამატების მიზნით. ტექნიკური სამდივნოს მიერ აღნიშნულის მიღების შემდგომ, ტექნიკური სამდივნო მიაწოდებს საქართველოს მუდმივ წარმოამდგენლობას შეთანხმების ორ დედანს, საქართველოს მხრიდან მისი ოფიციალური პირის მიერ ხელმოწერის მიზნით. შემდგომში, ორი დედანი ასევე ხელმოწერილი იქნება გენერალური დირექტორის მიერ და ერთ-ერთი დაბრუნდება საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა
ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციაში
Groot Hertoginnelaan 28
2517 EG ჰაგა

ტექნიკურ სამდივნოს ასევე აქვს პატივი შეახსენოს საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას, რომ შეთანხმება ძალაში შევა მხოლოდ საქართველოს მიერ მისი რატიფიცირების შემდგომ და ძალაში შესვლის თარიღად ჩაითვლება ის დღე, როდესაც სარატიფიკაციო სიგელი დეპონირებული იქნება გენერალურ დირექტორთან.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ტექნიკური სამდივნო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაადასტუროს თავისი ღრმა პატივისცემა OPCW-თან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მიმართ.

ქ. ჰაგა, 2015 წლის 28 იანვარი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 30152-01
თარიღი/DATE 29.07.2015
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია

OPCW
Johan de Wittlaan 32
2317 JR, ჰაგა, ნიდერლანდები
ტელ.: +31(0) 70 416 33 00
ფაქსი: +31(0) 70 306 35 35
www.opcw.org

NV/LAO/191259/14
(LAO/14-0332)

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკური სამდივნო გამოხატავს თავის პატივისცემას ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს მიმართ და აქვს პატივი დაუდასტუროს 2014 წლის 2 აპრილის N45/14469 ვერბალური ნოტის მიღება, რომლითაც გამოიგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 1 აპრილის N01/14236 ნოტა, რომელიც ეხებოდა საქართველოს შემოთავაზებას „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმების თაობაზე.

ტექნიკურ სამდივნოს სურს, გამოხატოს თავისი მადლიერება საქართველოს მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უარი თქვა თავის პირველად შემოთავაზებაზე და შეთანხმებიდან ამოიღო მე-6 და მე-7 მუხლების მე-7 და მე-3 ქვეპუნქტები. ამას გარდა, ტექნიკური სამდივნო მადლობას უხდის საქართველოს, სამდივნოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენისთვის, რომელიც შეეხება ზოგიერთი პიროვნების სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს.

ამასთან, ტექნიკური სამდივნო მოხარულია საქართველოს შეატყობინოს, რომ საქართველოს მიერ შეთანხმებასთან დაკავშირებით N45/14469 ნოტით წარმოდგენილი ბოლო შემოთავაზებები, რომელიც ეხებოდა მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტებსა და მე-7 მუხლს, მისაღებია სამდივნოსთვის. რაც შეეხება მე-6 მუხლის მე-2 (a) და მე-3 პუნქტებთან დაკავშირებულ ცვლილებებს, აღსანიშნავია, რომ ხსენებული შემოთავაზება გათვალისწინებულ იქნა ჯერ კიდევ 2012 წელს.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა
ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია
Groot Hertoginnelaan 28
2517 EG ჰაგა

ზემოთქმულის შესაბამისად, ტექნიკური სამდივნო თვლის, რომ თანდართული ტექსტი, რომელიც მოიცავს საქართველოს მიერ შემოთავაზებულ ბოლო ცვლილებებს, წარმოადგენს შეთანხმების საბოლოო ვარიანტს და მზად არის მხარეთა მიერ ხელმოსაწერად. შესაბამისად, საქართველოს მიერ აღნიშნულის დადასტურების საფუძველზე, ტექნიკური სამდივნო შეთანხმების ტექსტს განხილვისა და დამოწმებისთვის წარუდგენს აღმასრულებელი საბჭოს სამოცდამეთექვსმეტე სესიას, რომელიც ჩატარდება 2014 წლის 8-11 ივლისს, 2003 წლის 23 ოქტომბრის მხარე სახელმწიფოთა კონფერენციის NC-8/DEC.12 გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღმასრულებელი საბჭოს მიერ შეთანხმების დამოწმების შემდგომ, შეთანხმებას ხელი მოეწერება მხარეთა მიერ და რატიფიცირებულ იქნება საქართველოს მიერ. შეთანხმება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც საქართველო მოახდენს სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებას გენერალურ დირექტორთან.

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკური სამდივნო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაადასტუროს თავისი ღრმა პატივისცემა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს მიმართ.

ქ. ჰაგა, 2014 წლის 13 მაისი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

№ 01/31850

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკური სამდივნოს მიმართ და აქვს პატივი, გამოხატოს თანხმობა საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე.

სამინისტრო სთხოვს ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკურ სამდივნოს სამინისტროს აცნობოს ხელმოწერის ცერმონიის ადგილი და თარიღი, ასევე ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) მხრიდან ხელმომწერი პირის ვინაობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაადასტუროს თავისი ღრმა პატივისცემა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის (OPCW) ტექნიკურ სამდივნოს მიმართ.

თბილისი, 23 ივლისი, 2014 წელი

ქიმიური იარაღის აკრძალვის
ორგანიზაციის ტექნიკური სამდივნო
ჰაგა